ხელშეკრულება №18/13-279 ტ.231

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების წამკითხველის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 27 ივლისი 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის, **ნინო ინწკირველის** სახით და **თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი**, (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის ლევან ლიპარტიას სახით შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები,

,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–3 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–12 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3(1) პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის (სახსრების რაციონალური ხარჯვა) და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-9 მუხლის და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 16 ივლისის #02 1345 ბრძანება, „კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების წამკითხველის ხელმისაწვდომობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივნისის №390/ს ბრძანების საფუძველზე და შემსყიდველის 2018 წლის 12 ივლისის №02/5678 (სააგენტოში რეგისტრაციის №150702; 12.07.2018) წერილის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების წამკითხველის ყიდვა-გაყიდვისას.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი **ყიდის 15 (თხუთმეტი) ერთეულ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების წამკითხველს,** ხოლო შემსყიდველი ყიდულობს **15 (თხუთმეტი) ერთეულ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების წამკითხველს,** რისთვისაც იხდის შესაბამის ღირებულებას. (CPV კოდი - 30233300 „ინფორმაციის შემნახველი და წამკითხველი საშუალებები“).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ერთი ერთეული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების წამკითხველის ღირებულება შეადგენს **10 (ათი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.**

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება **შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.**

2.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ღირებულების გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის

ნინო ინწკირველი ლევან ლიპარტია

მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.მხარეთა ვალდებულებები:

3.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

3.1.1. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მოძრავი ნივთი.

3.1.2. შემსყიდველს მიაწოდოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების წამკითხველი - bit4id Minilector Evo.

3.1.3. თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება დაფარული ნაკლის მქონე, საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი ან ჩაანაცვლოს სხვა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების წამკითხველით. მიმწოდებელი ულებამოსილია უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.

3.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

3.2.1. მიიღოს მიმწოდებლისგან ნასყიდობის საგანი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით.

3.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება გადაიხადოს სრულად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წარადგინოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი გადახდიდან ერთ სამუშაო დღეში.

3.2.3. მიმწოდებლის მიმართ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

4. განსაკუთრებული პირობები

4.1. შემსყიდველს არ წარმოეშვება უფლებები ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო, თუ მან წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ამ ნაკლის შესახებ ან ნივთის გადაცემიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში არ აცნობა მიმწოდებელს ამის თაობაზე.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

4.4. მიმწოდებელი შემსყიდველს ნასყიდობის საგანს გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდეგ, <u>ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.</u> შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.5. მიმწოდებლის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბორჯომის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსი, თამარ გელაშვილი, ხოლო შემსყიდველის მხრიდან - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი მიხეილ ხითარიშვილი.

4.6. ხელშეკრულების 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება აქვთ აგრეთვე შესაბამის პირთა მოვალეობის შემსრულებელ პირებს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. თითოეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ფარგლებში. ამასთან, თითოეულმა მათგანმა ხელი

ნინო ინწკირველი

ლევან ლიპარტია

უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

5.3. მიმწოდებელს პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე.

5.4. მხარეები ცნობენ და აღიარებენ დოკუმენტებს, რომელიც მათ მიერ მიღებულია წერილობითი ფორმით.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

6.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტს სასამართლო.

7. დასკვნითი დებულებანი

7.1. ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

7.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7.3. ურთიერთობები რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 20 სექტემბრამდე.

8. მხარეთა რეკვიზიტები

8.1. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ - მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი: 202307404. ანგარიშის რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22 სახაზინო კოდი: 707437519.

8.2. თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი - მის.: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. №5; ს/კოდი: 226161961. ანგარიშის რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22 სახაზინო კოდი: 300629921.

ნინო ინწკირველი

ლევან ლიპარტია